წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 09-01

გორი 15 01 2016წ.

„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის N09-206 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და აკადემიური საბჭოს 2016 წლის 08 იანვრის N09-02 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის N09-206 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის":

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები. პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა."

ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 და 6^2 პუნქტები:

„6^1. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 8 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

6^2. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით."

2. კანცელარიის გამგეს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე